ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3076894

ნომერი: AR1472924

თარიღი : 24.01.2017

გაცემის თარიღი : 07.02.2017

გაცნობის თარიღი : 07.02.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი აკაკი წერეთელი , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიგი სისვაძე პ/ნ 01036001566
- ქ.თბილისი, ურიდიას ჩიხი # 6

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი # AR1472924 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ.თბილისში ა.წერეთლის გამზირი #2-ში, დემონტაჟის ნებართვის ვადის გაგვიგრძელების მოთხოვით მომართვის შემთხვევაში წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.
პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 16 აგვისტოს #2780710 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, გამზირი აკაკი

წერეთელი, #2, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი #01.13.07.019.027), საკადასტროს მიხედვით #04/1 შენობა-ნაგებობის დემონტაჟის პროექტი და გაიცა დემონტაჟის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 11.08.2016 წ-დან 11.10.2016 წ-ის ჩათვლით.
2017 წლის 25 იანვრის სამსახურის # 3059122 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 16 აგვისტოს #2780710 ბრძანებაში, კერძოდ მე–3 პუნქტში ჩანაწერი: "მშენებლობის ვადა განისაზღვროს 11.10.2016 წ- ის ჩათვლით.", შეიცვალა ჩანაწერით "მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით".
სამსახურის მიერ #2780710 და #3059122 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
ქ.თბილისში ა.წერეთლის გამზირი #2-ში, #01.13.07.019.027 საკადასტრო ერთეულზე სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.
თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით, წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.
თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
დამატებით გაცნობებთ, აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.